

ახალი თაობა



akhali.taoba.ge

ნიკა მელია: „ოსნების“ პროპაგანდა დაიწერა, ჯალთმა განსარიამ ხელგანაწილ ახალგაზრდებს ესროლა“



9 ივლისიდან

ჯემს ფონიმორ კუპერი

ჯაუჭი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზთთან ერთად 8 ლარი



პარასკევი, 12 ივლისი, 2019

№163 (8117)

ფასი: 60 თეთრი

გიორგი განსარია: „მაინს არ გადავდგები!“



გვ.3

„ხაზარაქემ ოპოზიციის აქციები 3 მილიონი ლარით დააფინანსა“

„ის პოლიტიკაში ამერიკამ შემოიყვანა“
ლადო საღობელაშვილი:
„განსარიას მომხრეება ივანიშვილს უნდა“



გვ.2

გუბაზ სანიკიძე: „ბიძინა ივანიშვილი 21-ე საუკუნის სერგო ორჯონიძეა“



გვ.3

„სალომე ზურაბიშვილი მოღალატე პოლიტიკური ძონძია, ზალკალიანი – პოლიტიკური ვირთხა“

ბიძინა გუჯაბიძე:
„2020-ის პარლამენტში ნაციონალური პარტი მოხვდება“



გვ.4



გვ.5

თამარ რხიძე:
„კუჭინს ეგონა, რომ ქართველები შინების დაკარგვას შევებებით“

ლევან ალაფიშვილი: „მთელი მთავრობა გადაშალულია“



გვ.5

„ყველაფერი მის სანინააღმდეგოდ მუშაობს“

სამართალი

გვ.7 ვიხეილ კალანდია პატიმრობაში დარჩა



გადრი ვაზარკასიშვილის მკვლელობის მომხადებაში ბრალდებული გიორგი მარეხაშვილი გაათავისუფლეს



რუსთაველი დაკარგული 4 წლის გოგონა აუხაზეთში იპოვეს

ეკონომიკა

გვ.6

„რუსეთის მხრიდან ეგზარტო რომ დაწესებულიყო, ზარალი 4 მილიარდ ლარს მიაღწევდა“



საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საბონეფეტო სისტემა დაინერგება



სახელმწიფო დაპარტამენტი: „მოუწოდებთ რუსეთს, აღადგინოს საქართველოსთან საკავარო მიმოსვლა“



6 პოლიტიკური შეხლა-შემოსლა საბანკო სექტორს დაახინანებს

4 უმთავრესია, შეჩერდეს ეს ქაოტური მშენებლობები

6 ჯარიმებით ბიუჯეტის შევსების მარეხეველი იზრდება

7 საღორიის ტყეები გოგონამ თავის ჩამოსრჩობა ცადა რა მოხდა ქუთაისში

თამარ ჩხეიძე: „პუტინს ეპონა, რომ ქართველები მიწების დაკარგვას შევებუით“

„გვყავს ახალი თაობა, რომლისთვისაც უპირველესია სამშობლოს დაცვა“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს **თამარ ჩხეიძეს**.

– რამდენად ადეკვატურია საქართველოს ხელისუფლების რეაგირება რუსეთის უმაღლესი პირების განცხადებებსა და მოქმედებებზე?

– საქართველოს ხელისუფლების გამოხმაურებები სრულიად არაადეკვატურია. ავილოთ „რუსთაველი 2“-ის ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას შემთხვევა. ფორმა, რომელიც გაბუნიამ აირჩია თავისი პოზიციის გამოსახატავად, მიუღებელია. ის მოსაზრონი არ არის საქართველოს ხელისუფლებისთვისაც, მაგრამ ხელისუფლების რეაქცია ამაზე აბსოლუტურად გაუგებარია, იმდენად გამოგნებელი, რომ ამან გაბუნიას სიტყვებიც კი დაჩრდილა.

საქართველოს ხელისუფლებამ არაადეკვატურობაში თავის თავს გადააჭარბა. რუსეთისადმი ქვეყნდრომოზა და მედიის შევიწროება „ქართულ ოცნებას“ ადრეც გამოუმჯღავებია. ახლა კარგად მოხდა ხელისუფლების ლუსტრირება.

– კერძოდ, რა გამოიწვია?

– უფრო ნათლად გამოჩნდა დამოკიდებულება როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს, ისე იმ ტელეკომპანიის მიმართ, რომელიც ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნის. გიორგი გაბუნიას გამონათქვამების გამო ოციციკალური სტრუქტურები დაიარსებენ და მათ რეაგირებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ.

ეს სრული ნონსენსია. ამაზე არც საერთაშორისო საზოგადოებისათვის უნდა მიემართათ და არც თვითონ უნდა მიეღონ ზომები. თუ ამაზე შეკითხვებს დაუსვამდნენ, მაშინ შეეძლოთ ეთქვათ, რომ არ ეთანხმებიან გამოხატვის ფორმას ან ფორმასა და შინაარსს. ხელისუფლებამ ეს არ იკმარა და დაიწყო საზოგადოებაში აზრის გავრცელება იმაზე, რომ რუსეთი გაბუნიას გამოსვლის გამო საქართველოს ომს დაუწყებს.

საუბედუროდ, საზოგადოება, რომელიც ვერ ერკვევა ნიუანსებში, დაშინდა. ამ დროს ომზე თვითონ რუსეთიდანაც კი არ ყოფილა მინიშება. ერთ-ერთი პირველი კომენტარი პუტინის პრესმდივანმა პერსკოვამ გააკეთა. მან ამ ფაქტს სამარცხვინო უწოდა. მას ომით არავინ დაუშინებია.

დაშინებული ხალხი 8 ივნისს მოვარდა ტელეკომპანია „რუსთაველი 2“-თან, ასევე – პარლა-

მენტთან. იმავე დღეს შეიკრიბნენ ხელისუფლების მიერ მობილიზებული ჯგუფები. სწორედ იმ დამაბულ დღეს, შეუფერებელ დროს მოხდა მარშის მოწყობა „თბილისი პრაიდს“. ამით გამოაშკარავდა, რომ „თბილისი პრაიდის“ რუსეთის ნისქეილზე ასხამს წყალს, რომ არაფერი ვთქვათ მოფაშისტო შევრავებლებზე. საბედნიეროდ, პუტინმა იმ დღეს ფიასკო განიცადა.

– მხედველობაში გვაქვით ის, რომ ანტისაოკუპაციო მიტინგის მონაწილეები თავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ?

– ცხადია. აგრესიული ჯგუფები იმ დღეს რუსთაველზე იმ განზრახვით შეკრიბეს, რომ მათ უნდა ჩაეშალათ ანტისაოკუპაციო აქცია. რუსეთს ეს არ გამოუვიდა.

– როგორ ფიქრობთ, რამ იმოქმედა ამაზე?

– რამდენიმე გარემოებამ. როგორც ჩანს, ეგონათ, რომ მოფაშისტო ჯგუფებთან ზღვა ხალხი დადგებოდა. ხალხი იმაზე ნაკლები შეგროვდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. ვინც იქ იდგა, ის დამუხტული იყო ლგბტ-ლონისძიებებისა და არა-ანტისაოკუპაციო მიტინგის წინააღმდეგ. ანტისაოკუპაციო მოძრაობას უმძლავრესი მოტივაცია აქვს. მასთან დაპირისპირება შეუძლებელია. ამიტომ ლგბტ-პრაიდთან მებრძოლები დაიშალნენ და ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეები ისევ დაბრუნდნენ ქალაქის ცენტრში.

– ანტისაოკუპაციო აქცია 21 ივნისის შემდეგ იმართება. იმ დამის დარბევის გამო პასუხი არავის უფია.

– ეს სისხლიანი ანგარიშსწორება პუტინის საამებლად მოეწყო. როცა დარბევა დაიწყო, იმ მომენტში შეხლდა-შემოხლაც კი აღარ მიმდინარეობდა. მიტინგზე მდგარი ადამიანების 90% მშვიდობიანი იყო. სწორედ ამ ხალხს გაუსწორდნენ და თვალები დასთხარეს.

თბილისში არაერთი მიტინგი დარბეულა, მაგრამ მომიტინგეებს გმირთა მოედანზე არავინ მისდევდა. 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ პრეზიდენტი გადადგა. 9 აპრილის დარბევის შემდეგ პატიაშვილი გუმბარაძით ჩანაცვლდა. 20-21 ივნისის მოვლენების გამო შს მინისტრიც არ გაუთავისუფლებიათ.

– რატომ?

– გახარია რუსეთის კადრია. რუსებს, როგორც წესი, არ უჭირთ, რომ საქართველოში ერთი თავიანთი კადრი მეორით შეცვალონ. ამ ნაბიჯით ახლანდელი ხელისუფლება კრემლს თავის ერთგულებას უმტკიცებს.

– ერთგულება ხელისუფლების წარმო-



„საქართველოს ხელისუფლებამ არაადეკვატურობაში თავის თავს გადააჭარბა“

მადგენლების განცხადებებში იკვეთება?

– რასაკვირველია. პუტინმა ჯერ შეზღუდვები დაგვიწესა, მერე განაცხადა, რომ სხვა სანქციების მომხრე არ არის. ჯერ სიტყვა დამთავრებულა არ ჰქონდა, რომ თბილისიდან გულაჩვილებული ამაზრენი მადლობები ისმოდა.

ამაზე მონური დამოკიდებულება წარმოუდგენელია. იმ მომენტში ქედმოხრილმა საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღების მიღმა დატოვა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან ჩვენი ისტორიის უხევი გაყალბება.

– ამაზეც ამოიღეს მოვლენებით ხმა.

– საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენი ისტორიის გაყალბებაზე საცოდავი კომენტარები წარმოთქვა. ოციციკალური განცხადებები კი არ გავრცელდა და საერთაშორისო საზოგადოება კი არ გააფრთხილა, ხელისუფლებას კითხვები დაუსვებს და მათ გასცა უზადრუკი პასუხები.

– რუსული პროპაგანდა ყოველთვის იმას ამბობდა, რომ აფხაზეთი არასდროს ყოფილა

ლევან ალაფიშვილი: „მთელი მთავრობა გადაგაღულია“

„ყველაფერი მის სანინააღმდეგოდ მუშაობს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ხელისუფლების სტრატეგია როგორია?

– საკმაოდ რთული მდგომარეობაა. ხელისუფლებას ბევრად უფრო ეფექტურად შეეძლო აქედან გამოსვლა, მაგრამ შეცდომა შეცდომაზე დაუსვა და ახლა ისე შევიდა პროცესები ჩიხში, რომ აქედან გამოსვლა არათუ ამ ხელისუფლებას, ბევრად უფრო მაღალი დონის ხელისუფლებასაც კი გაუჭირდებოდა.

ახლა რასაც თვალყურს ვადევნებთ, ეს არის არა ქვეყნისა და მისი ინტერესების გადარჩენაზე, არამედ საკუთარი თავისა და საკუთარი იმიჯის გადარჩენაზე ზრუნვა.

– რამდენად შეძლებს თუნდაც საკუთარი თავისა და იმიჯის გადარჩენას?

– ძალიან გაუჭირდება, ეს თითქმის შეუძლებელია. შეუძლებელია თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ 20 ივნისამდე იყო სხვა რეალობა, 20 ივნისის შემდეგ სხვა რეალობაშია როგორც ქვეყანა, ისე ხელისუფლება.

თუ ხელისუფლება სტრატეგიულად სწორ გადანაცვლებებს მიიღებდა და არ გაჯექდებოდა, მაშინ ბევრად ნაკლები დანაკარგებით გამოვიდოდა აქედან. ახლა უკვე ყველაფერი მის სანინააღმდეგოდ მუშაობს. ახლა რასაც ხელისუფლება მიზანმიმართულად აკეთებს, ეს არის ადამიანებში შიშისა და პანიკის დათესვა.

– და რაში აწყობს?

– თვითგადარჩენისთვის აკეთებს ამას. იმ სამარცხვინო განცხადებებზე, რომლებიც მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას, კომენტარის გავთვებას კი არ მინდა.

თუ ოდნავ მაინც უფრო კვალიფიციური იქნებოდა ჩვენი ხელისუფლება ან ინტერნეტში მაინც ჩაისხდებოდა, ადამიანებს კი არ დააშინებდა, არამედ ეტყოდა, რომ რუსეთი ეკონომიკურ



სანქციებს ასე მარტივად ვეღარ დაგვიწესებდა.

– რას გულისხმობთ?

– რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოა. რუსეთს ძალიან უნდოდა აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რისთვისაც მას ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებოდა. ჩვენი მხარდაჭერით რუსეთი გახდა ვტო-ს წევრი. ამდენად, ის ასე მარტივად ვერ დაგვიწესებს ემბარგოს, ნევერ სახელმწიფოებს ერთმანეთთან გარკვეული ვალდებულებები აქვთ.

– 2006 წელს ხომ დაგვიწესა.

– მაშინ არ იყოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. ამიტომ ვიღაც უნდა გამოსულიყო და ეს უნდა ეთქვა როგორც რუსეთისთვის, ისე ჩვენი მოსახლეობისთვის.

თუ ლევანის ხარისხი არ იქნება შესაბამისი სტანდარტების, ის მიუღებელი იქნება როგორც რუსული, ისე ამერიკული და ქართული ბაზრისთვისაც, მაგრამ სანქციებს ასე მარტივად ვეღარ დაგვიწესებს.

რაც შეეხება რუს ტურისტებს, ისინი მაინც ჩამოდიან, რადგან მოსწონთ საქართველო და არავის უგდებენ ყურს. აი, ნახავთ, როგორ მალე აღდგება ავიარეისები. პროცესები უფრო გააძვირავს თავად ხელისუფლებამ.

– რაში აწყობდა?

– ხალხში შიში რომ დაეთესა, ხალხი პანიკას რომ მოეცვა. ეს ერთგვარი პიარტექნოლოგიური სვლაა. მე აქ სწორედ იმ პოლიტიტექნოლოგიის ხელს ვხედავ, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ მთლიანად ამოაყირავა სურათი.

როგორც ჩანს, ის უცხოელი პიარტექნოლოგი კვლავ გასცემს რჩევებს, მაგრამ აქ ერთი დიდი განსხვავებაა, მაშინ ქვეყანაში ნინასაარჩევნო პერიოდი იყო და არჩევნებზე ასეთ რალაცებს იტანს საზოგადოება, მაგრამ ახლა ნინასაარჩევნო პერიოდი არ არის და ასეთი პიარსვლები შეიძლება სახიფათოც

საქართველო. 1919 წლის ოსების გენოციდი, როგორც ჩანს, ახალი ვირუსია.

– პუტინის ლექცია ისტორიაში გამაოგნებელი იყო. თურმე მე-18 საუკუნეში ყოფილა ჩრდილოეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი. მათ რუსეთთან ყოფნა სდომებოდათ, საქართველო კი, ფაქტობრივად, არ არსებულა. ამ დროს ვიცით, ვინ როდის შექმნა ის ავტონომიური ოლქი. ამ სუბელურ იდეოლოგიას თავისი მიზანი აქვს.

– რა ახალი მიზანი ამოძრავებს?

– ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია. საუბედუროდ, ამის ნიშნებს ვხედავ. პუტინი იმას კი აღარ გვედავება, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელი ერთეულებიაო, უკვე იმას ამბობს, რომ ეს რუსეთის მიწებია და უნდა მოხდეს მათი ანექსია.

– ამ ფონზე რუსეთისგან დასაცავად ლეიბორისტული პარტიის ლიდერი აყვებს საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსების საკითხს.

– ზოგადად, ჩვენი თავდაცვის სისტემა დასავლეთს, მათ შორის, აშშ-ს უნდა დაეკავშიროთ. კონკრეტულად, რა ფორმით და როდეს უნდა მოხდეს ეს, განხილვისა და შეთანხმების საგანი უნდა გახდეს.

– მთლიანობაში, საზოგადოებისგან როგორ განწყობას მოელით?

– ბევრი უარყოფითი მოვლენის გარდა, ბოლო ხანს ერთი ძალიან სასიხარულო მოვლენა მოხდა. ჩემთვის აღმოჩენა საზოგადოების ახალგაზრდული ნაწილის შემართება და პატრიოტიზმი. პუტინს ეგონა, რომ ქართველები ჩვენი მიწების დაკარგვას შევეგუეთ. ეს მისი ილუზია გამოდგა.

– აქაც ასე ეგონათ.

– ცხადია. გარდა იმისა, რომ გვყავს რუსეთს დაქვემდებარებული ხელისუფლება, საზოგადოებაც პასიურობას იჩენდა. ამიტომ გაჩნდა ნიშილიზმი. იცვლებოდა თაობები. თაობა-ნაბიბი და შვილები არ არიან. შუალედებში, ყოველ ხუთ ან ექვს წელიწადში სხვადასხვა თაობა მოდის.

თურმე გვეყოლია ცოცხალი, ენერგიული, ორგანიზებული, ეროვნულად განწყობილი და რუსეთისგან დამოუკიდებელი ახალგაზრდობა. ეს მოქალაქეები პარტიების დაძახილზე არ შეკრებილან. თუმცა, ოპოზიციაც ჯანსაღად იქცეოდა მათ აქტივებზე. ისინი თვითონ დადგნენ ქვეყნის ინტერესებისთვის.

ამ დამიანებს შეუძლიათ სამშობლოს დაცვა. ამის იმედი მაქვს.



კოპას თერთმეტეული მისი არ არის



როგორც მოგეხსენებათ, კოპა ამერიკის ფინალში ბრაზილიის ნაკრებმა ფინალში პერუს 3:1 სძლია. ყოველი ასეთი დიდი ტურნირის შემდეგ სახელდება საუკეთესოები. მეკარე, საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი უკვე გაგაცანით, ახლა სიმბოლური ნაკრების დროა, რომელიც კოპა ამერიკის ორგანიზატორებმა დაასახლეს.

გასაკვირია, მაგრამ საუკეთესო თერთმეტეულში ლიონელ მესისთვის ადგილი ვერ მოიძებნა. გუნდში 5 ბრაზილიელი მოთამაშეა, 2 ფეხბურთელი ჰყავს ფინალისტი პერუს, ხოლო კოლუმბია, ჩილე, არგენტინა და ურუგვაი თითო-თითო ფეხბურთელით არიან წარმოდგენილი.

კოპა ამერიკის საუკეთესო თერთმეტეული ასე გამოიყურება:

მეკარე: ალისონი (ბრაზილია); **მცველები:** დანი ალვესი, ტიაგო სილვა (ორივე ბრაზილია), სიმენსი (ურუგვაი), ტრაუტო (პერუ); **ნახევარმცველები:** პარედესი (არგენტინა), ვიდალი (ჩილე), არტური (ბრაზილია); **თავდამსხმელები:** ხამესი (კოლუმბია), გერერო (პერუ), ევერტონი (ბრაზილია).

ტურინში და ლიხტის მაისურები გამოჩნდა

სავარაუდოდ, ტურინის იუვენტუსის ამსტერდამის აიაქსიდან მატის და ლიხტის გადაბირება მოლაპარაკებებს შორის მინიმალური დაშორებაა დარჩენილი, თუმცა ბიანკონერის იმდენად ძლიერი პოზიცია უკავია, რომ თამაშად შეგვიძლია განვაცხადოთ ტრანსფერის უახლოეს პერიოდში დახურვაზე. კერძოდ, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, მატისასი ტურინში ამ კვირაში გადავა.

ფეხბურთელს სოციალური ქსელის მეშვეობით უკვე ესალმება „ბიანკონერის“ ტიფოზურია და ახალ კლუბში წარმატებებს უსურვებს.

ყველაფერთან ერთად, ტურინის ქუჩებში უკვე გამოჩნდა იუვენტუსის ახალი, 4-ნომრიანი მაისურები დე ლიხტის გვართ, რომელიც სტადიონის მახლობლად შეუძლია ქომაგს, რომ შეიძინოს.



მოიზ კინი – ფეხბურთელი რომელსაც კონტრაქტი ჯერ კიდევ არ გახანგრძლივებულა.. მიზეზი არის ის, რომ იუვე ვერ ჩამოყალიბდა მის მომავალზე.

საქმე ის არის, რომ მინო რაიოლას მისთვის ისეთი ადგილის პოვნა სურს, რომელიც საშუალებას მიცემს ახალგაზრდა ფორვარდს, მეტი დრო გაატაროს მინდორზე და არა – სათადარიგოთა სკაშზე.

აქედან გამომდინარე, „ბიანკონერი“, შესაძლოა, დათანხმდეს მის გასხვისებას, ოღონდ იმ პირობით, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ უკან დაბრუნდება შეეძლება.

ამ ეტაპზე ყველაზე აქტიური ევერტონია, მაგრამ ეტაპობრივად სხვა კლუბებიც განიხილავენ ამ ვარიანტს. სამი ხედირას თაობაზე გუნდმა ოფიციალური შეთავაზება მიიღო, რომელიც 10 მილიონ ევროს შეადგენს. ფენერბახჩეს ნახევარმცველის გავორმება სურს და ახლა ყველაფერი თავად გერმანელზეა დამოკიდებული.

საბურთალო ევროპაში სეზონიანად შეიჭრა

მედი-საბურთალო 0:3
ტირასპოლი. დიდი არენა
0:1 როლანდინი (30), 0:2 კოსტინი (67), კაპუზა (71)

შერიფი: მიკულაჩი, პალჩინი (ტამბე 69), იახი, ხურადო (ანტონი 46), კრისტიანო, პალინი (ბალიმა 46), გორდინევი, ლატიფი, ბობანი, კენდინი, პოსმაკი

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, რევილაშვილი, გონსალესი (შინდაგორიძე 70), ლავიშვილი, დიასამიძე, ალთუნაშვილი, გორგიაშვილი (კაკუბავა 60), როლოვიჩი, კოსტინი (გაბედავა 77)

საქართველოს ჩემპიონი საბურთალო სეზონიანად შეიჭრა ევროპაში – ქართულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის სადებიუტო შეხვედრაში ტირასპოლში შერიფი 3:0 დაამარცხა და განმეორებითი შეხვედრის წინ, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად დიდი უპირატესობა შეიქმნა.

დედაქალაქელებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. იმის გარდა, რომ 3 და ერთმანეთზე ლამაზი გოლები გაიტანეს, ბრძოლისუნარიანი, გამართული, სწრაფი და საინტერესო ფეხბურთი ითამაშეს. ისეთი, როგორც გულშემატკივარს სიამოვნებს. და ისეთი, როგორსაც ქართული გუნდებიდან მიჩვეული არ ვართ. მატჩის დასრულების შემდეგ ადგილობრივმა ქომაგებმა კი ტაშით გაცვიფრეს საბურთალოს ფეხბურთელები.

30-ე წუთზე საბურთალომ რამდენიმეხვლიანი კომბინაციის შემდეგ



გოლი გაიტანა – გიორგი კოსტინიმ მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადმოიტანა ბურთი, ვაგნერ გონსალესმა მცველები გააბითურა და ნიკოლოზ მალს ჩასანადებლად სივრცე მისცა, იქ კი ოგინი როლოვიჩმა ივარგა და თავით კლუბის ისტორიაში მნიშვნელოვანი და პირველი ევროპული გოლი გაიტანა.

მალე თბილისელებს ანგარიშის ორამდე გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ გეგა დიასამიძის ახლო მანძილიდან დარტყმულს, მოდლოველი მცველები გადაეღობნენ და სასწაულებრივ გააღწიეს კიდევ ერთ გაშვებულ გოლს. ერთ-ერთ ეპიზოდში იმავე დიასამიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

შესვენებაზე მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ორმაგ ცვლილებას მიმართა, მაგრამ მე-2 ნახევარიც თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს.

ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ, დიასამიძემ დაარტყა კარში, მეკარემ მოიგერია და ბურთი ისე მოხვდა ძელს. 67-ე წუთზე საბურთალოს „ათინამ“ გიორგი კოსტინიმ ზღაპრული გოლი გაიტანა – ჯერ გზად რამდენიმე მეტრი ბურთთან ერთად გაიარა, შემდეგ კი დაახლოებით 25 მეტრიდან ცხრიანში ჩაჭდა ბურთი.

მასპინძლებს კარგად არ ჰქონდათ გაცნობიერებული 2-ბურთიანი ჩამორჩენა, რომ საბურთალოელებმა მესამეც მიაყოლეს – კუთხურის ჩანოდევის შემდეგ, კოსტინიმ საპაერო ორთაბრძოლა მოიგო, კუთხე ლევენ კაკუბავამ ჩაქცა, რომელიც მინდორზე რამდენიმე წუთის შემოსული იყო და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში 3:0 დააფიქსირა.

წინ განმეორებითი შეხვედრაა, რომელიც თბილისში 16 ივლისს „მიხეილ მესხე“ 21:30 საათზე დაიწყება.

გიორგი ჩაკვატაძე გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია

სარბიელის ტრადიციული, რიგით მე-18 გამოკითხვის შედეგების გამოცხადება წლეულს უჩვეულოდ გვიან მოხდა. თუმცა, მიზეზიც ობიექტურია – გამარჯვებული საქართველოში არ იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, „სარბიელის“ გამოკითხვა, რომელშიც სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობენ და რომლის მიზანაც სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის გამოვლენა გახლავთ, შარშან „სარბიელთან“ ერთად 10-ლიანი პაუზის შემდეგ აღდგა.

„სარბიელისა“ და „ლიდერების“ წლეუანდელ გამოკითხვაში 79 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა. მათ დაასახლეს 2018-19 წლების სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი.

ჟურნალისტები თავიანთ რჩეულს მაისში, ანუ სეზონის ბოლოს პირველი, მეორე, მესამე პრინციპით ასახელებენ. ყოფილა და ამჯერადაც არის შემთხვევა, როცა კოლეგამ ნომინანტთა შორის ერთი ფეხბურთელი დაასახელა. ქულების დარიცხვის სისტემა მარტივია – პირველ ნომრად დასახელებული კანდიდატს ენიჭება 3 ქულა, მეორეს – 2, მესამე – 1. ქულები ჯამდება.

პრესტიჟული ჯილდო სხვადასხვა დროს ისეთ ფეხბურთელებს მოუგიათ, როგორებიც გიორგი ქინქლაძე (ერთადერთი ეროვნული ჩემპიონატისგან), შოთა არველაძე, თემურ ქეცბაია, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და კახა კალაძე არიან.

მთავარ სათქმელსაც მივადევით: ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გამარჯვება საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური გენტის შემტევმა გიორგი ჩაკვატაძემ, ვინც ჯამში 216 ხმა მოაგროვა. მას 79 დან 68-მა ჟურნალისტმა მინიჭა პირველი ადგილი.

მე-2 ადგილზე ნინა გამოკითხვის გამარჯვებული, საქართველოს 2017-18 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, მოსკოვის ლოკომოტივის მცველი საბა კვირკველია გავიდა; ხოლო მე-3 ადგილი მედიამ საქართველოს ნაკრების კაპიტანსა და ყაზახური ტობოლის ნახევარმცველ ჯაბა კანკავას არგუნა.

კლუბის რა გიტხრათ, აი, ეროვნულ გუნდში კი 19 წლის გიორგი ჩაკვატაძეს არც ბადალი ჰყავდა, არც ისეთი მეტოქე, ტოლ-სწორად დახვედროდა. უდავოა, ერთა ლიგის დ, ანუ ჩვენი ჯგუფი გიორგი ჩაკვატაძის გახლდათ. სწორედ ის იყო საქართველოს ნაკრების ლიდერი, მთავარი ფეხბურთელი, მეგობელ, სული, გული...

ჩაკვატაძე არის ზოგადად ერთა ლიგის გათამაშებაში პირველი გოლის გამტანი და ჩაკვატაძე არის ის ფეხბურთელი, ვინც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდევ ჩვენი გუნდის ერთა ლიგის ფლეი ოფში გასვლა. არჩევანისას კი ჩვენი კოლეგების აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ ეროვნულ გუნდში თამაშის ხარისხით იხელმძღვანელა.

მოკლედ, 19 წლის გიორგი ჩაკვატაძე 2018-2019 წლების სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია.



ნომინანტთა შორის სულ 24 ფეხბურთელია, მათგან მხოლოდ 6 თამაშობს ეროვნულ ლიგაში – ქუთაისის ტორპედოს მეკარე როინ კვასცაძე და ფორვარდი ბუდუ ზივიზაძე, ბათუმის დინამოს მეკარე მიხეილ ალავიძე, საბურთალოს შემტევნი – ლაშა შინდაგორიძე და გიორგი გაბედავა და თბილისის დინამოს თავდამსხმელი ლევან კუტალია.

1. გიორგი ჩაკვატაძე (გენტი, ბელგია) – 216 ქულა;
2. საბა კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი) – 85;
3. ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი) – 63;
4. დავით ხოჭოლაძე (შხტარნი, უკრაინა) – 31;
5. გიორგი ხარატიშვილი (გიორგიბორგი, შვედეთი) – 13;
6. გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ) – 9;
7. გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი) – 6;
8. გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია) – 5;
9. ბუდუ ზივიზაძე (ტორპედო, საქართველო) – 5
10. საბა ლობჯანიძე (რანდერსი, დანია) – 5;
11. როინ კვასცაძე (ტორპედო, საქართველო) – 4;
12. ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია) – 4;

13. მიხეილ ალავიძე (დინამო ბთ საქართველო) – 3;
14. ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი) – 3;
15. ნიკა კვეციანი (ტობოლი, ყაზახეთი) – 3;
16. ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია) – 3;
17. ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი) – 2;
18. გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი) – 2;
19. ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი) – 2;
20. გიორგი მერეაშვილი (პლოცკი, პოლონეთი) – 2;
21. ლაშა შინდაგორიძე (საბურთალო, საქართველო) – 2;
22. გიორგი გაბედავა (საბურთალო, საქართველო) – 1;
23. ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი) – 1;
24. ლევან კუტალია (დინამო თბ, საქართველო) – 1.

მიამზადა მისიელ ჟურნალისტმა

იუნაიტედი სარაკორლო შეთავაზებას აკეთებს

მანჩესტერ იუნაიტედი წინასასეზონო სამზადის ავსტრალიაში გადის. „წითელი ეშმაკები“ სრული დატვირთვით ემზადებიან, მეტიც, პრესაში გავრცელებული ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელის ოლე გუნარ სოლსკიერის მეთოდები გუნდში უკმყოფილებსაც კი იწვევს.



ფეხბურთელები თვლიან, რომ სოლსკიერი დიდ აქცენტს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ დატვირთვაზე აკეთებს და არა ბურთთან ერთად მუშაობაზე, როგორც ჩანს, მენეჯერს გუნდის შემადგენლობის ფიზიკომზადების დონე არ მოსწონს.

ამასობაში იუნაიტედის ხელმძღვანელობა ლესტერის მენეჯერს მთავარ კანდიდატს აქტიურ ფაზაში იყვავება. საქმე ეხება ინგლისის ნაკრების ცენტრალურ მცველს ჰარი მაგუაიერს.

იუნაიტედი დანებებას არ აპირებს – გავრცელებული ცნობით, სოლსკიერის გუნდი მზად არის, მაგუაიერის სანაცვლოდ „ლესტერს“ კოლოსალური 100 მილიონი ევრო გადაუხადოს.

თუ „მელიები“ ამ შეთავაზებას მიიღებს, მაგუაიერი გახდება მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ცენტრალური მცველი.

იუნაიტედი ხელფასის სახით ფეხბურთელს კვირაში 280.000 ევროს სთავაზობს, როგორც ბრიტანელი ჟურნალისტები წერენ, მაგუაიერი შეთავაზებაზე თანახმაა.



დათო პაპავა: „მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზე ვიფიქრობ“



რეჟისორი დათო პაპავა საქართველოს-ნაირ პატარა ქვეყანაში ამდენი ნაძირალას არსებობით გაკვირვებულია:
— ამდენი ნაძირალა და ქვეყნის მტერი როგორ შეიძლება იბადებოდეს ამ პატარა ქვეყანაში...

ლევან კოლუაშვილმა 50.000 დოლარი მოიგო

რეჟისორმა ლევან კოლუაშვილმა სოლიდური ფულადი ჯილდო იერუსალიმში მიიღო.



ქართველი ხელოვანის ახალი ფილმის პროექტი „მეოთხე ბრაიტონი“ მონაწილეობდა სემ შიგელის კინოლაბორატორიაში...

ლევან კოლუაშვილს გადაეცა ჟიურის პრიზი 25.000 აშშ დოლარი და ფრანგული სადისტრიბუციო კომპანიის პრიზი 25.000 აშშ დოლარი...

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი ამერიკელი და ევროპელი პროდიუსერები, ფესტივალებისა და კინოკომპანიების დირექტორები...

ბია ჯაჯანიძე: „თუ სიმატლეს დროზე არ ჩახედავ, რისკები მთავარია“

ფსიქოლოგი ბია ჯაჯანიძე დარწმუნებულია, რომ თუ სიმატლეს დროზე არ ჩახედავთ თვალებში, დაგზრდავდება:
— ადამიანი განგების ძალით, სულიერებითა და გონიერებით შექმნა წარსული, უძველესი ანგელოზი და ქმნის მომავალს...



არ დაგვიანო, გეტკინოს, ოღონდ დროზე ჩახედე სიმატლეს თვალებში. ვინც დაგვიანა, ყველა დაბრმავდა.

ლია უკლებამ „სამაიას“ მოსაყვანი მამაკაცები დახატა



მხატვარმა ლია უკლებამ ახალი ნახატი შექმნა - „სამაია“ მამაკაცებს აცეკვა და საზოგადოების აღფრთოვანება დაიმსახურა.
ნახატმა, რა თქმა უნდა, როგორც მხატვრის წინა ნამუშევრებმა, თვითმკვლელი ღვთისმშობელი, ტრანსგენდერი ჩვილით, საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია...

აგრესიულმა ნიანგმა გურიის მხარე დააჯიბა

აგურიის მხარეში წარმოადგინა მკვრივი ჯიშის ძაღლი, რომელიც მისი მფლობელი ვინაა, რომელიც მისი მფლობელი ვინაა...

ქალს მისივე მეუღლე მიეგზავრა და ნიანგთან ერთად, რომელიც პირს არ უშვებდა, ნაპირთან მიიყვანა...

აღსანიშნავია, რომ პარკში განთავსებული ნარწარები, რომლებიც დამთავალიერებლებს წინაგის შესადლო თავდასხმის შესახებ აფრთხილებს...

ბავშვმა ღაღის რკაზე უარი თქვა და დედა დაუპყვას გაღაღრინა

ინგლისის ქალაქ ლივერპულში ერთ წლამდე ასაკის ბავშვმა მკერდიდან რძის დალევა უარი თქვა და დედა დაუპყვას გაღაღრინა...

ბავშვიმ შეიღოსგან სიცოცხლით ვარ დავალებული. ეს ნამდვილი სასწაული იყო. რომ არა ჯუდი, ვერასოდეს გავიგებდი, რომ სიმსივე მქონდა...

ნინო მუხლაძის შეთავაზება ქართველებს

მსახიობ ნინო მუხლაძეს ქართველებისთვის ორიგინალური შეთავაზება აქვს:
— მათთვის, ვინც თვლის, რომ ეს ქვეყანა კი არაა, სა...ვეთია და პერსპექტივისაკენ ვეღარ ხედავს...



მებრ სხვა პროფესიებიც, ნიჭიერები ვართ, გამოგვივა, ავიღოთ სახსოვრად ქართული მიწა...

ჩამოვყალიბოთ ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც უზენაესი პრინციპი არის თავისუფლება...

ალექსანდრა ზაზარაშვილს ალიარხის სერტიფიკატი გადაეცა



უკრაინული საბავშვო „ვიოსის“ მეშუთე სეზონის გამარჯვებულ ალექსანდრა ზაზარაშვილს ალიარხის სერტიფიკატი გადაეცა...

ქოქხილის სიყვარულმა ქალი მზის დაზვერვაში მიიყვანა

კანადის ქალაქ ედმონტონის მცხოვრებმა ქალმა ტევილასთვის აგავის ფოთლები ხელით გაწურა, შემდეგ კი, მზებზე გასულმა, დამწვრობები მიიღო...



ამბერ პრეპრუკი მეგობრებთან ერთად ტბასთან მდებარე სახლში ისვენებდა. მან ალკოპოლიანი კოქტილის მთელი კომპანიისთვის მომზადება გადაწყვიტა...

მალაშო „მენტორი პირველი“ ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება - მალაშო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკონის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება...

მომავალი კანა ნატიაშვილა

„ახალი თარბა“

წარმოგიდგენთ სერიას „პე მიჰვარს კითხვა“

9 ივლისიდან
ჯეიმს ფონიმორ კუპერი
ჯაუუუი
ფასი გაზაფხულთან ერთად 8 ლარი

16 ივლისიდან
ელეონორ პორტიერი
პოლიანა
ფასი გაზაფხულთან ერთად 7 ლარი

იუმოხი

შვილი მამას ეკითხება:
— მამიკო, კანფეტებს შრიალა ქალაქში რატომ ახვევენ?
— იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს, როგორ ხდება დედაშენი.

რუსს ეუბნებიან:
— თქვენთან როგორ უხარისხო გზები?
— სამაგიეროდ, სულელები გვყავს ხარისხიანი.

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:
— რომელი საათია?
— ორი... რა, შენ საათი არ გაქვს?
— ეეჰ, მაგარი საათი მქონდა, დარტყმის საწინააღმდეგო, წყალგაუმტარი, მტერისგან დამცავი...
— მერე, დაკარგე?
— არა, დაინვა.

ქალი ექიმს ურეკავს და ეკითხება:
— ექიმო, ჩემმა ბავშვმა ქვიშა გადაყლაპა, ბევრი წყალი დავაღვინე და ახლა როგორ მოვიცილებ?
— შეეცადე, ბავშვი ცემენტთან ახლოს არ მივიდეს!...

ცოლი და ქმარი მოდების ჩვენებას ესწრებიან. პოდიუმზე ბიკინებში გამოწყობილი მოდელები გამოდიან.
ცოლი ქმარს ეუბნება:
— რა პირი დაგილია? რა, მეტყველების უნარი სულ დაკარგე? თხუთმეტი წელია ცოლ-ქმარი ვართ, რა, არასოდეს გინახია ქალის ფეხები, ან მკერდი?
— ჩუმად! ხელს ნუ მიშლი! ახლა სწორედ მაგ კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს.

შოაშადა კახა სატიაშვილმა

ნეიმარი პარიზში ორშაბათს, 15 ივლისს ჩავა და გუნდის ხელმძღვანელობას შეხვდება.

ნეიმარი, სავარაუდოდ, წასვლაზე ისაუბრებს, რადგან უკვე აღარ მალავს, რომ პსჟ-ში თამაში აღარ სურს. პარიზული გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ მოსწონს ნეიმარის ქცევა და ის ფაქტი, რომ ის გვიან შეუერთდება გუნდს, ამიტომ მისი გაყიდვა გამოიცილებული არ არის.

პსჟ-ს დირექტორმა ლეონარდომ განაცხადა რომ თუ პსჟ სარფიან წინადადებას მიიღებს, აუცილებლად დაფიქრდება.

ნეიმარის სატრანსფერო ფასი 300 მილიონი ევროა.

მარკუს რეშფორდი: „მანჩესტერ იუნაიტედს დიდი პოტენციალი აქვს“

მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერს დიდი პოტენციალი აქვს და მომავალ სეზონში ამას ყველა დაინახავს:

— გასული სეზონი ცუდად დავეწყეთ და წარუმატებლობის შეგრძნება მთელი სეზონის განმავლობაში გვქონდა. ნელს ყველაფერი სხვაგვარად იქნება, რადგან გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. გვინდა, რომ პრემიერლიგის მოგებისთვის ვიბრძოლოთ.

რეშფორდმა რამდენიმე კვირის წინ მანჩესტერ იუნაიტედთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

ლორან კოსიელნი არსენალს აპერიკაში არ გაჰყვა

არსენალი ამერიკულ ტურნეში წავიდა, სადაც ივლისის ბოლომდე იქნება და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

არსენალთან ერთად არ იქნება ფრანგი მცველი ლორან კოსიელნი, რომელიც გუნდს გაურკვეველი მიზეზების ამერიკაში არ გაჰყვა.

მანჩესტერ იუნაიტედს მილანკოვიჩი სავიზის ყიდვა სურს

მანჩესტერ იუნაიტედმა ლაციოს წინადადებით მიმართა და მანჩესტერელები მზად არიან, მილანკოვიჩს სავიზში 72 მილიონი გადაიხადონ.

სერბი ფეხბურთელი ლაციოს ერთ-ერთი ლიდერია, ამიტომ იტალიელები მის ადვილად დათმობას არ აპირებენ. ლაციო ამ ტრანსფერში 90 მილიონს ითხოვს და უფრო ნაკლებად სავიზს არ გაყიდის.

უახლოეს დღეებში ამ ტრანსფერის შესახებ უფრო მეტი დეტალი გახდება ცნობილი.

არსენალმა ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ კოსიელნის ქცევით ძალიან იმედგაცრუებულია:

— ჩვენ აუცილებლად მივიღებთ ზომებს ამ საკითხთან დაკავშირებით. კოსიელნი ასე არ უნდა მოქცეულიყო. მან იმედებს გაგვიცრუა.

შოაშადა ბექა გოგინაშვილმა

კრისტიანო რიჩი

შეფუთვა: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური საშუალო ენა; 4. ისტორიული სამეფო კასპის ზღვის სანაპიროებთან; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩენი გრძელი დანა; 11. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სისხირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

თარაზულად: 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიადი; 5. ფერწერული ტილო „შუი კვადრატის“ ავტორი; 6. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 7. გუთნისდევთა, მებრეთა შრომის სიმღერა; 8. ნაკურთხი წყალი; 10. „ხვეისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. მოთვლილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველბურთი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. აეროპორტი თელ ავიეში; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ლვისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. ძველბურთი სასუნთქი თამბაქო; 23. ავსტრიელი მწერალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

კრისტიანო რიჩი

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

Food Supplement 200 丸 200 PILLS

兰州佛慈制药股份有限公司 LANZHOU FOCI PHARMACEUTICAL CO., LTD

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

აუმჯობესებს პოტენციას

200 PILLS 200 丸

1981

兰州佛慈制药股份有限公司 LANZHOU FOCI PHARMACEUTICAL CO., LTD

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: შაჟა, ილია ჭავჭავაძის №15 მოზ. ბაღ: 568-73-73-44

www.facebook.com/Boaigeorgia/